ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3049235

ნომერი: AR1466694

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 16.01.2017

გაცნობის თარიღი : 16.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეკინის , (ყოფილი გამსახურდიას გამზირი) , N 28 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია სუჯაშვილი პ/ნ 01019017859
- თბილისი II ძმობის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, პეკინის ქუჩა (ყოფილი გამსახურდიას გამზირი) #28-ში, შ.პ.ს „დიანა“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე (მოიჯარე - სს ბანკი „რესპუბლიკა“) სარეკლამო აბრების რეკონსტრუქციას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „დიანა“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882016714603 17/10/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.10.14.030.011.01.502; იჯარის ხელშეკრულება; მინდობილობა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, პეკინის ქუჩა (ყოფილი გამსახურდიას გამზირი) #28-ში, შ.პ.ს „დიანა“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე (მოიჯარე - სს ბანკი „რესპუბლიკა“) სარეკლამო აბრების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.